საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია კოპალეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

მაია კოპალეიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და პატიოსანი. ის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. არის პრინციპული და შეუვალი. კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ის გამოირჩევა მიუკერძოებლობით პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატს აქვს კარგი ცოდნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, ასევე ადამიანის

			უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს მრავალფეროვანი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. მას აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. მისი გადაწყვეტილება და განსხვავებული მოსაზრება არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი.
წერის უნარი	19	20	კანდიდატი თავის მოსაზრებას გადმოსცემს ნათლად და გასაგებად და თანმიმდერულად, როგორც წერილობით ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. ის ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, ამასთან მას აქვს შესაბამისი უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების უნარი. ის აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას არის არაერთი სტატიის, სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. კანდიდატი ეწევა პედაგიგურ საქმიანობას.
ქულათა ჯამი	**92**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის		

	კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, მაია კოპალეიშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მაია კოპალეიშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დაუცველობისათვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მაია კოპალეიშვილი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის სამართლიანი, დამოუკიდებელი და პრინციპული, რასაც ასევე ადასტურებენ მისი კოლეგები. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, მას არ გამოუვლენია რაიმე

	სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მაია კოპალეიშვილი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა;</u>** კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას. მას აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. თავისი საქმიანობის შესრულებისას კანდიდატი სათანადოდ იცავს ეთიკის შესაბამის ნორმებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ან ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. ამასთან, კანდიდატი არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად. ასევე, მის მიმართ არ ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;</u>** მაია კოპალეიშვილი სარგებლობს კარგი პროფესიული და პიროვნული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები მას აფასებენ დადებითად. გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიონალიზმს, ერთგულებას, გულისხმიერებას, სამართლიანობას, თანადგომის უნარს და შრომისმოყვარეობას. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთაგან ერთი რესპოდენტი კანდიდატის სისუსტედ უთითებს, რომ მაია კოპალეიშვილის სამართლიანობის პრინციპებისადმი ერთგულება ზოგჯერ იწვევს მის მიმართ ადამიანების განაწყენებას. ხოლო, მეორე რესპოდენტის აზრით, კანდიდატი დილას ნაკლებად აქტიურია, ვიდრე საღამოს, შეუძლია იმუშაოს მთელი ღამე. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ მაია კოპალეიშვილი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მაია კოპალეიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>

კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მას აქვს კარგი ცოდნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საამართლის სფეროში.

გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად ემსჯელა მისთვის დასმულ საკითხებზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მისი პასუხი არ იყო ამომწურავი და ზუსტი, ამასთან ზოგიერთ საკითხზე კანდიდატის პასუხი მოკლებული იყო კონკრეტიკას, და სცდებოდა დასმული საკითხის ფარგლებს. მაგალითად, ისეთ საკითხებზე როგორიცაა სამართლიანობის სახეები და თეორიები, კანიდიდატმა ისაუბრა ზოგადად სამართლიანობაზე. ასევე, კანდიდატმა სრულყოფილად ვერ ამოწურა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები.

საბოლოო ჯამში, კანდიდატისთვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის კითხვების საერთო რაოდენობიდან კანდიდატმა დამაკმაყოფლებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის 80%.

<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;</u>

კანდიდატს აქვს მრავალფეროვანი და ხანგრძლივი (30-წლიანი) პროფესიული გამოცდილება., რომელიც მოიცავს 12-წლიან სამოსამართლო საქმიანობას. მისი გადაწყვეტილება და განსხვავებული მოსაზრება არის სათანადოდ დასაბუთებული და

	დამაჯერებელი. გადაწყვეტილებასა და განსხვავებულ აზრში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. ასევე, კანდიდატის სამართლერივი პუბლიკაციები არის მარტივი და გასაგები ენით შედგენილი, რაც მას ხდის მკითხველთათვის მარტივად აღქმადს. ასევე, სხვადასხვა რელევანტური წყაროს გამოყენება მეტყველებს კანდიდატის კარგ კვლევით უნარებზე. **<u>წერის უნარი;</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებებს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და თანმიმდერულად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>** კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. ის ღიად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, ამასთან, მას აქვს შესაბამისი უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>** კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების უნარი. ის აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. **<u>პროფესიული აქტივობა.</u>** კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმინობას, ის არის არაერთი სტატიის, სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ამასთან, კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2006-2007 წლებში კანდიდატი იყო საქათველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი 1995 წლიდან კანდიდატი არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.